საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გონგაძე ნიკოლოზ ვალერიანის ძე

გონგაძე ნიკოლოზ ვალერიანის ძე (დ. 12. XII. 1948, თბილისი), ფარმაკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2004).

1972 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1978–89 მოღვაწეობდა თბილისისა და ლენინგრადის წამყვან კლინიკებში. 1993-იდან იყო თბილისის სახელმწ. სამედ. უნ-ტის ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომელი (1998-იდან – პროფესორი), 2002–06 – ამავე კათედრის გამგე. 1991–2003 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიურ კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, მ. შ. კომიტეტის თავ-რე.

მისი სამეცნ. შრომები ეხება გულ-სისხლძარღვთა და ცენტრ. ნერვულ სისტემაზე მოქმედი წამლებისა და ბიოლ. აქტიური ნივთიერებების ფარმაკოლოგიას. გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: საქართველოს ფარმაკოლოგიური ფორმულარი, თბ., 1994 (თანაავტ.); ანტიბიოტიკებით რაციონალური თერაპია, თბ., 2000 (თანაავტ.); Хронофармакология антигипертензивных средств, Тб., 2010; Guidebook and Compendium International Clinical Tonals, ed. by B. Brunier and G. Nahler, Denver, Colorado (USA), 1999, vol. 1 (თანაავტ.).